პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

შპს სადაზღვევო ბროკერი ჯი.ეს. მიზნად ისახავს, პერსონალური მონაცემების დამუშავებისას პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები.

მონაცემთა დამუშავების პრინციპები

თქვენი პერსონალურ მონაცემების მუშავდება კანონის შესაბამისად, კანონით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების საფუძვლის არსებობის პირობებში და შემდეგი პრინციპების დაცვით:

- მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, გამჭვირვალედ და მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად;
- მონაცემები უნდა შეგროვდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნისთვის და არ უნდა იქნეს გამოყენებული ამ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;
- მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;
- მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული;
- მონაცემები შენახულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;
- მონაცემების არამართლზომიერი დამუშავებისგან დასაცავად მიღებულ უნდა იქნეს თანმდევი საფრთხეების შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები.

თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება

ჩვენი კომპანია:

- მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად იღებს საფრთხეების შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, მათ შორის, განსაზღვრავს ორგანიზაციაში არსებული თითოეული ინფორმაციული აქტივის მფლობელს და უზრუნველყოფს ინფორმაციულ აქტივებზე წვდომების კონტროლს;

- უზრუნველყოფს თანამშრომლების პერიოდულ გადამზადებას მონაცემთა დაცვის წესებთან დაკავშირებით;
- ინციდენტის აღმოჩენის შემთხვევაში, ინციდენტით გამოწვეული სავარაუდო ზიანის შემცირების ან აღმოფხვრის მიზნით უზრუნველყოფს დროულ რეაგირებას და ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტების კანონით დადგენილი წესით ინფორმირებას;
- ორგანიზაციაში დასაქმებული პირების ინფორმირების მიზნით, მათთვის ხელმისაწვდომად ათავსებს ინფორმაციას ორგანიზაციის მიერ მათი მონაცემების დამუშავების პროცესების შესახებ;
- უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების მიზნით ორგანიზაციაში მონაცემთა სუბიექტების მიერ წარმოდგენილ მომართვებზე დროულ და ჯეროვან რეაგირებას;
- აფასებს მონაცემთა დამუშავების შედეგად ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების შელახვის საფრთხის შექმნის ალბათობას და, მაღალი ალბათობის გამოვლენის შემთხვევაში, ახორციელებს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასებას;
- ყველა პროდუქტში, პროექტში და მომსახურებაში ითვალისწინებს მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტს.

მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზაცია

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით მიმართოს ორგანიზაციას და მოითხოვოს რეაგირება.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს.